გიორგი გორგოძე

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია (მარნეულის მაგალითზე)

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2008 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, [გიორგი გორგოძე]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გიორგი გორგოძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს
დასახელებით: ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია
(მარნეულის მაგალითზე)

და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

თარიღი 2019წ

შესავალი: 11

I თავი: ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორები.16

1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები. 16

1.2. მარნეულის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ეთნიკური აზრერბაიჯანელების კომუნიკაციის პრობლემა. 19

1.3.მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების განათლების ხელმოსაწვდომობის პრობლემა. 23

1.4. ინტერკულტურული განათლების პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებში..... 28

II თავი: ეთნიკური უმცირესობების მიმდინარე პროცესებში ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორები 30

2.1. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მაჩვენებელი და არსებული გამოწვევები. 30

2.2. მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური ინტეგრაციის პრობლემა. 33

2.3. მედიისა და მასმედიის როლი ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პროცესში. 36

კვლევა: მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა. 39

დასკვნა: 59

გამოყენებული ლიტერატურა: 62

რეზიუმე:

მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზება და მათი პრობლემატიკის გაცნობა-შეფასება წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამოსავალ წერტილს. ნაშრომში წარმოდგენილი დასახლებული მუნიციპალიტეტი არის მონოეთნიკური, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობებსა და პრობლემებს სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. კომუნიკაციისა და ენობრივი ბარიერების არსებობა მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია ინფორმაციული წვდომის თვალსაზრისით. ინფორმაციული ვაკუუმის შესაძლებლობას ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ნაკლებად ჩართულობა და დაინტერესება მიმდინარე პროცესების მიმართ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და სიახლეების მიღება მნიშვნელოვან წინაღობასთანაა დაკავშირებული, რაც მათ კრიზისულ მდგომარეობაში აყენებს. სახელმწიფო სერვისების მიუწვდომლობასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამართლებრივი ნორმებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების მიმართ გულგრილობაც, რაც წარმოდგენილი სუბიექტების მხრიდან განპირობებულია განათლების დაბალი დონის მაჩვენებლითა და შესაბამისი საბაზისო ცოდნის არქონით. ეთნიკური აზერბაიჯანელები კომუნიკაციის პრობლემიდან გამომდინარე ემიჯნებიან ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს და ძირითად შემთხვევაში არ არიან ინფორმირებულები შესაბამისი პროექტებისა და მოვლენების შესახებ.

მედია საშუალებების როლი საკმაოდ დიდია თანამედროვე სამყაროს ინფორმირების თვალსაზრისით, რაც ეხმარება სუბიექტს სწორად განსაჯოს და შეაფასოს მიმდინარე პროცესები, ჰქონდეს ადეკვატური შეხედულება წარმოქმნილ

პრობლემებზე. მედია საშუალებების არარსებობა ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების დონის ჩამოყალიბებას, რაც ხშირ შემთხვევაში მათ ინფორმაციულ ვაკუუმს უქმნის. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანებია, ცხადია, მოკლებული არიან ჯანსაღ აზრს, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს დემოკრატიზაციის პროცესს. განვითარებული სახელმწიფოსათვის უმთავრესი წინაპირობაა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირესისათვის დიდი როლი ეკისრება მედია საშუალებების ობიექტურ მუშაობას და მათ ნეიტრალურ პოზიციას, რაც ერთგვარ საშუალებას აძლევს მსმენელს მიიღოს მოცემული ინფორმაცია ნეიტრალური საწყისით, შემდგომ გადაამუშაოს და განსაჯოს. მსჯელობისა და ლოგიკური განსჯის დახმარებით ყალიბდება კონკრეტული შეხედულება, რაც განაპირობებს მის შემდგომ გაზიარებას.

ABSTRACT:

Analyzing the socio-economic factors of ethnic Azerbaijanis living in the Marneuli area, their problems and assessment are the starting point for building a democratic state. The municipality represented in the work is monoethnic, which in itself creates preconditions and problems regarding social integration. The existence of communication and language barriers is a significant obstacle in terms of information access. The possibility of informative vacuum encourages less involvement of ethnic minorities and the interest in the ongoing processes. Taking into consideration these factors, receiving state programs and innovations for ethnic Azerbaijanis is associated with a significant impediment that puts them in crisis. Together with the lack of public services, it is the most important factor of legal norms and relevant legislative initiatives, which is based on the low level of education and lack of relevant knowledge. Ethnic Azeris are based on the communication problem of social and political processes within the country and are not well informed about relevant projects and events. The role of media outlets is quite high in terms of informing the world, which helps the subject to properly judge and evaluate the ongoing processes to have an adequate view on the problems that arise. The absence of media outlets prevents the level of informing the local population, which in most cases creates an informational vacuum. People who are found in such a situation are obviously lacking in a healthy sense that

significantly damages the process of democratization. The main prerequisite for the developed state is the development of civil society. The civil society formation has a big role in the objective work of media outlets and their neutral position, which gives the listener a chance to get this information neutral and then recycle and judge. With the help of reasoning and logical judgment, a concrete perspective is established, which leads to further subsequent sharing.

შესავალი:

დღესდღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა, რომელიც იწვევს საზოგადოების დაინტერესებას არის ეთნიკური უმცირესობები და მათ გარშემო შექმნილი სიტუაცია, რაც საკმაოდ პრობლემატურ ფონს ქმნის. ეთნიკური უმცირესობების თანაცხოვრება სახელმწიფოს ადგილობრივ ერთან საკმაოდ რთულია, რადგან ერის როგორც სოციალური პროდუქტის დამახასიათებელი ნიშნები რადიკალურად განსხვავდება სხვა ერის ნიშნებისაგან, რაც მეტწილად განაპირობებს კულტურათშორის შეუთანხმებლობასა და კონფლიქტური კერების წარმოშობას.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ გამოცდილებას ბევრი მაგალითია, როდესაც ერთი ერი მეორესთან თანაცხოვრებით განიცდის ასიმილაციას და მისი გავლენის ქვეშ გადადის, რაც საკმაოდ ხანგრძლივ პროცესთან და ბევრ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა შესაძლებელია თანაცხოვრების ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც არ დააზარალებს არც სახელმწიფოს ადგილობრივ მკვიდრს და ამავდროულად ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობის თვითრეალიზაციას და ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.

დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით ეთნიკური უმცირესობები კონცენტრირებული არიან კონკრეტულ ლოკაციებზე, სადაც მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია და ნაკლებად უწევთ კომუნიკაცია ადგილობრივ წარმომადგენლებთან, რაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს ენობრივი თუ კულტურულ-ღირებულებითი ბარიერების წარმოქმნას. ასეთი ბარიერები ხდება წინაპირობა კულტურათაშორისი დიალოგის პრობლემის წარმოქმნისა, რაც შემდგომ ტრანსფორმირდება მნიშვნელოვან დაბრკოლებად.

ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-კულტურული პრობლემები საკმაოდ გლობალური და აქტუალურია. კონკრეტულ შემთხვევაში შევეხები ქ. მარნეულის მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური ინტეგრაციისა და ჩართულობის პრობლემებს. აქ მაცხოვრებელი სუბიექტები წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობას, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი პრობლემები კომუნიკაციის დამყარების თვალსაზრისით. ეს ადამიანები წარმოადგენენ არაქართულენოვან სექტორს და მათთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ენობრივი ბარიერი. სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროექტები, რაც გულისხმობს არაქართულენოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლებას, თუმცა არც თუ ისე შედეგიანად. ძირითადი პრობლემა არაკვალიფიციური კადრებია, რაც საფუძველშივე მნიშვნელოვან ხარვეზს ქმნის დასახული მიზნის მისაღწევად. ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოქმედებები ნაკლებად შესამჩნევია, რაც განპირობებულია აქტივობის დაბალი ხარისხით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაციაზე წვდომა ენობრივი ბარიერის გამო, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს აზრთა შეუთანხმებლობას და დაბნეულობას. მნიშვნელოვანია შევეხოთ საჯარო სექტორში დასაქმებულ სუბიექტებს, რომლებსაც მსგავსი კომუნიკაციის პრობლემა ექმნებათ არაქართულენოვან სექტორთან და გაცემული ინფორმაცია უშედეგოა.

კვლევის მიზანი და ამოცანები: ჩვენი მიზანია შევისწავლოთ კულტურათაშორისი დიალოგის პრობლემები ეთნიკურ უმცირესობებში, რომლებსაც უჭირთ ინტეგრაცია და განიცდიან კომუნიკაციის ბარიერების ზეგავლენას.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, მარნეული, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი

დაკომპლექტებულია ეთნიკური უმცირესობებით. ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა არიან ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებში ცხოვრობენ და წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებს.

- ნაშრომში განხილული იქნება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისათვის აუცილებელი საფეხურები, რაც გულიხსმობს მათ სოციალურ ინტეგრაციასა და მიმდინარე პროცესებში მათ აქტიურად ჩართვას;
- შემოთავაზებული იქნება რჩევები და რეკომენდაციები განათლების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაც მოიცავს სპეციალური პედაგოგების მომზადებას რათა ეთნიკური უმცირესობებისთვის შესაძლებელი გახდეს კვალიფიციური განათლების მიღება;
- ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში და მათი როლის გაზრდა საკითხების დელეგირებაში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წამოჭრილი პრობლემების ადეკვატურად შეფასებასა და გადაჭრის გზების მოძიებას.

კვლევის მეთოდები: კვლევის პროცესის განსახორციელებლად საჭიროა გამოვიყენოთ თვისობრივი მეთოდი, რაც საშუალებას მოგვცემს საკითხის შესახებ მივიღოთ ამომწურავი ინფორმაცია. კვლევის ამგვარი გზის გამოყენებისას განისაზღვრება მიზნობრივი შერჩევის მეთოდი და რესპოდენტები იქნებიან მარნეულის რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წინაშე არსებული პრობლემები და წინააღმდეგობები.

თვისობრივი კვლევის გამოყენების დროს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერვიუირება და კონკრეტული მაგალითების შესწავლა მნიშვნელოვნად

შეუწყობს ხელს წამოჭრილი პრობლემის გააზრებას. კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ მონაწილეობაზე დაფუძნებული კვლევა, რაც რესპოდენტს უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს იყოს გასნილი და აქტიურად ჩაერთოს საკითხის კვლევის პროცესში, გაეცნოს შედეგებს და შეარჩიოს შესაბამისი შეკითხვები. ასეთ შემთხვევაში რესპოდენტის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ძირეულ გავლენას ახდენს პრობლემის გააზრებისა და შემდგომი შეფასების მიმართულებით.

საკითხის კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება რაოდენობრივი მეთოდი, რაც დაგვეხმარება გავიგოთ თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძირითად პრობლემას. კვლევის ამგვარი მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია შევისწავლოთ წარმოდგენილი ჯგუფის წევრების პრობლემები და წინააღმდეგობები უფრო ფართო მასშტაბებით და მივიღოთ ერთიანი შედეგები, რაც დაგვეხმარება საერთო ფონის განსაზღვრაში.

ლიტერატურის მიმოხილვა: დღესდღეობით საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პრობლემა მწვავეა, რაც განპირობებულია კომუნიკაციისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებლებით. მოსახლეობის უმეტესობა იმყოფება ინფორმაციულ ვაკუუმში და არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ-სოციალურ პროცესებზე.

სოციალური განვითარების თვალსაზრისით მათი ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რაც თავისმხრივ ქმნის პრობლემათა კომპლექსურ სურათს. ეთნიკური უმცირესობების ნაკლებად ჩართულობის ასახსნელად გამოვიყენებ გია ნოდიას ნაშრომს „საქართველოს პოლიეთნიკურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისთვის“. ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები, როგორიცაა არაქართული სკოლების პრობლემა,

ეთნოსურ უმცირესობათა კომუნიკაციის ბარიერები, რაც მნიშვნელოვანი წინაღობაა სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია არნოლდ სტეპანიანისა და ზაურ ხალილოვის მოსაზრებები, რომელიც წარმოდგენილია ნარკვევის სახით: „ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში“, სადაც დეტალურადაა აღწერილი ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი სოციალურ-კულტურული პრობლემები.

ეთნიკური უმცირესობებისთვის საკომუნიკაციო ბარიერები განაპირობებს მათ პოლიტიკურად პასიურ მდგომარეობაში აღმოჩენას, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყნის დემოკრატიულ ღირებულებებსა და თანასწორობის განმსაზღვრელ მაჩვენებლებს. სწორედ ასეთი ინფორმაციული ვაკუუმი უშლის ხელს გამჭვირვალეობასა და სამართლიანობას, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა თანამედროვე სახელმწიფოსთვის.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე თავს იჩენს ისეთი ძირეული პრობლემები როგორებიცაა განათლების დაბალი დონე, სოციალური განათლების არ არსებობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი. სწორედ ამ პრობლემათა გათვალისწინებით ეთნიკური უმცირესობები მოწყვეტილი არიან ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, რისი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორიც კულტურათშორისი დიალოგის პრობლემაა. დღევანდელი სოციუმისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მედია საშუალებები, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ეთნიკურ უმცირესობებს ენობრივი ბარიერების გამო ექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები. მნიშვნელოვანია შალვა ტაბატაძის ნაშრომი „ინტერკულტურული განათლება საქართველოში“, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის დასაჩქარებლად. ავტორი სვამს ისეთ აქტუალურ საკითხებს როგორიცაა ინტერკულტურული განათლების პოლიტიკისა და იმპლემენტაციის

პრობლემები, რომლის მოსაგვარებლად გვისახავს რეკომენდაციებს, რაც ხელშემწყობი ფაქტორია საკითხის დეტალურად გასააზრებლად. სოციალური ინტეგრაციის დასაჩქარებლად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და არაქართულენოვანი ეთნიკური ჯგუფებისთვის შეიქმნეს შესაბამისი საგანმანათლებო დაწესებულებები, რომლებიც საშუალებას მისცემს სუბიექტებს მიიღონ კვალიფიციური განათლება და გახდნენ კონკურენტუნარიანები. კომუნიკაციის პრობლემის დასაძლევად შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა კულტურულ-სოციალური აქტივობები, რაც შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების დაახლოებას ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯებით, რომელიც მიმართული იქნება ინტერკულტურული პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის დონის ამაღლებას.

I თავი: ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორები.

1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები.

ეთნიკური უმცირესობების არსებობა საქართველოში არახალია. თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ეთნიკური უმცირესობების არსებობა დროის სვლასთან ერთად უფრო მრავალფეროვანი ხდება. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში ჰარმონიაში ცხოვრობენ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად და ხდება მათი ტრადიციებისა და წეს-

ჩვეულებების გაზიარება.[1] მიუხედავად ამისა მაინც იჩენს რიგი პრობლემები თავს, რაც განპირობებულია სხვადასხვა რადიკალური განმასხვავებელი ნიშნის არსებობით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე, თანაბარ პირობებს ქმნის და ხელს უწყობს მათ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში. საქართველოს მულტიეთნიკურობა დიდ როლს თამაშობდა საზოგადოების ფორმირება-განვითარების თვალსაზრისით და ხელს უწყობდა დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

გასული საუკუნის განმავლობაში საქართველო განიცდიდა სოციალისტური კავშირის გავლენას, რაც თავისთავად აისახა ტრადიციათა და კულტურული ღირებულებების ტრანსფორმაციაში, რისი ფატალური შედეგიც ნათლად გამოჩნდა ამ ერთობის დაშლის შემდგომ. საბჭოთა სოციალისტური სისტემის დაშლის შემდგომ წარმოიშვა კონფლიქრტური კერები, რომლებიც ატარებდა ეთნიკური ნიშნების დისკრიმინაციის ხასიათს, რაშიც დიდი როლი მიუძღვის რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებს.[2] ეთნიკური დისკრიმინაცია და ურთიერთდაპირისპირებები მეზობელ სახელმწიფოებს შორის გახდა მიზეზი არარელევანტური ნორმებისა და ტრადიციების ფორმირების, რაც შემდგომ პროცესებში ეთნიკური ნიშნით კომფლიქტებში პოულობს გამოხატულებას.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობებიდან ყველაზე დიდ და მრავალრიცხვოვან ჯგუფს მიეკუთვნებიან ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებთან ერთად თანაცხოვრების საკმაოდ დიდი წარსული აქვს ქართულ სახელმწიფოს. ეთნიკური აზერბაიჯანელები საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული არიან ძირითადად საზღვრისპირა ლოკაციებზე და

[1]ერთი საზოგადოება,მრავალი ეთნოსი, ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში, ეთნიკური უმცირესობები საქართველოში, დავით ზურაბიშვილი
[2]ეთნიკური უმცირესობები საქართველოში, გაგა ნიჟარაძე, თბილისი 2003 წელი.

მათი დასახლებები ძირითადად მონოეთნიკურია.[3] წარმოდგენილი მოსახლეობის უმეტესობას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის არსებული სიტუაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არ არის ხელმისაწვდომი კვალიფიციური განათლება, სახელმწიფოსერვისები და ის სიკეთეები რომელსაც სახელმწიფო თავაზობს მათ. დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები გათანაბრებულია მკვიდრი მაცხოვრებლების უფლებებთან, რაც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით. თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და აქვს თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამასთან და სახელმწიფო სერვისებთან.[4] ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებს, სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით, რაც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია მათი ინფორმაციული წვდომის განვითარებისა და მიმდინარე პროცესებში ჩართულობის თვალსაზრისით.[5]

ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი უფლებები ხშირად ხდება არასამთავრობო სექტორის დაინტერესების საგანი, რაც ძირითად შემთხვევაში წარმოდგენილია ისეთი პრობლემების კომპლექსურობით, როგორებიცაა დაბალი სოციალური ინტეგრაციის მაჩვენებელი, განათლების დაბალი დონე, სოციალური სიკეთეების მიმართ ნაკლები ინტერესი. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა და ინტერესი ასეთი საკითხების მიმართ საკმაოდ

[3]ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, გიორგი სორდია, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, 2009 წელი.
[4]საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14, მუხლი 38, მუხლი 34.
[5]სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს მთავრობის განკარგულება N1740, თბილისი, 2015 წელი.

დაბალია, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

1.2. მარნეულის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ეთნიკური აზრერბაიჯანელების კომუნიკაციის პრობლემა.

ეთნიკური უმცირესობების მრავალფეროვნება ქართული სახელმწიფოსთვისარსებობის მანძილზე დამახასიათებელი ნიშანია. ქართული სახელმწიფო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო კულტურათა გადაკვეთის ადგილს წარმოადგენს, რაც ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების არსებობისთვის. ჩვენს ტერიტორიაზე წარმოდგენილი ეთნიკური ჯგუფების უმრავლესობას თანაცხოვრების საკმაოდ დიდხნიანი ისტორია აქვს, რაც თავისთავად მოიცავს კულტურათა შეწყმას, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გაზიარებას.[6]

ეთნიკური აზერბაიჯანელები ძირითადად წარმოდგენილი არიან ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც მათი დასახლებები საკმაოდ მჭიდრო და მონოეთნიკურია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქალაქი მარნეული, რომელიც ეთნიკური აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანი სიჭარბით გამოირჩევა. აქ წარმოდგენილი მოსახლეობის რაოდენობა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის მონაცემებით 83.77%-ია, რაც ამ ეთნიკურ წარმომადგენლებს ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე უმრავლესობად აქცევს.[7]

ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებული ტერიტორიები გამოირჩევა რამოდენიმე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ნიშნით. აქ წარმოდგენილი სუბიექტები ძირეულად განსხვავდებიან საქართველოს ადგილობრივი

---

[6]დავით ზურაბიშვილი, ერთი საზოგადოება,მრავალი ეთნოსი(ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში). მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, 2003წ.

[7]საქსტატის მოსახლეობის აღწერის ოფიციალური მონაცემები www.geostat.ge

მაცხოვრებლებისაგან და ეს განსხვავებები რიგ შემთხვევებში წარმოშობს აზრთა შეუთავსებლობას. კულტურისა და ტრადიციათა არაერთგვაროვნება გამყარებულია სარწმუნოებრივი განსხვავებული შეხედულებებით. წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს. მათი ჩართულობა და სოციალური აქტივობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ასევე მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის მათი სოციალური ცნობიერების დონეც.

მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაციის ნაკლებობა და უარეს შემთხვევაში მისი არ არსებობაც კი. ეთნიკური უმცირესობების საკომუნიკაციო წყაროს წარმოადგენს აზერბაიჯანული ენა, რომელიც თანხვედრაში არ მოდის სახელმწიფო დაწესებულებების სამუშაო ენასთან. წარმოდგენილი ადამიანების უმეტესობა საუბრობს მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო ძალიან მცირე ნაწილს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს რუსულ ენაზე და უკიდურესად მწირია ისეთი ადამიანების რაოდენობა რომლებსაც შეუძლიათ ქართულ ენაზე კომუნიკაცია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და სიახლეების მიღება მნიშვნელოვან წინაღობასთანაა დაკავშირებული, რაც მათ კრიზისულ მდგომარეობაში აყენებს. სახელმწიფო სერვისების მიუწვდომლობასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამართლებრივი ნორმებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების მიმართ გულგრილობაც, რაც წარმოდგენილი სუბიექტების მხრიდან განპირობებულია განათლების დაბალი დონის მაჩვენებლითა და შესაბამისი საბაზისო ცოდნის არქონით.[8] ეთნიკური აზერბაიჯანელები კომუნიკაციის პრობლემიდან გამომდინარე ემიჯნებიან ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-

[8]შალვა ტაბატაძე - ინტეგრაციისა და ინტერეთნიკურურთიერთობათა ცენტრი, თბილისი, საქართველო

პოლიტიკურ პროცესებს და ძირითად შემთხვევაში არ არიან ინფორმირებულები შესაბამისი პროექტებისა და მოვლენების შესახებ. სწორედ ასეთი ძირეული პრობლემა ქმნის შემდგომი პრობლემების წარმოქმნის წინაპირობას და ხელს უშლის სუბიექტების ერთობის სამოქალაქო საზოგადოებად ტრანსფორმირებას.

მარნეულის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეთნიკური აზერბაიჯანელები ძირითადად დასაქმებული არიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო სექტორში, სადაც საკუთარი პროდუქციის რეალიზებას ახდენენ ადგილობრივ ბაზარზე. კომუნიკაციის პრობლემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია შესაძლო სამოქმედო არეალის გაფართოებისა და მიღებული პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისთვის. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი სექტორი განიცდის ეკონომიკურ შეფერხებას და შესაბამისად უფრო მეტი შრომის გაწევა ხდება საჭირო შესაბამისი სასურველი შედეგის მისაღწევად. მოსახლეობის მხრიდან განხორციელებული ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული მოქმედებები შესაძლებელია თანხვედრაში არ მოდიოდეს სახელმწიფო საგადასახადო კოდექსთან, რისი დარღვევასც შესაბამისად იწვევს სუბიექტების დაჯარიმებას.[9] სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან ხდება შესაბამისი ახსნა-განმარტებების გაკეთება და ინფორმაციის მიწოდება, თუმცა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ამგვარი ინფორმაცია რთულად დასამუშავებელი და ძირითად შემთხვევაში გაუგებარია. სუბიექტები რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ენობრივი ბარიერის გამო ვერ იღებენ ინფორმაციას შესაბამის რეგულაციებზე, განზრახ თუ უნებლიედ ხდებიან კანონდამრღვევები, რაც შემდგომ იწვევს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას.

[9]საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2010 წელი.

კომუკიკაციის პრობლემა წარმოქმნის ასევე კულტურათა გაზიარების თვალსაზრსით უხილავ კედელს, რომელიც აზიანებს ერთა თანაცხოვრებისთვის აუცილებელ სასიცოცხლო გარემოს. ასეთ შემთხვევაში ხდება კულტურათა დამაკავშირებელი ხიდის ჩანგრევა, რაც შემდგომ პროცესებში ტრანსფორმირდება კონფლიქტებისა და დაპირისპირებების სახით. აღსანიშნავი საკითხია რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული სოციალური ნორმები, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას. კონკრეტულად ვგულისხმობ არასრულწლოვანთა და ქალთა მიმართ კანონის სისტემატიურ დარღვევას, რასაც კრიტიკულ სიტუაციამდე მიჰყავს მდგომარეობა. სწორედ კომუნიკაციისა და ინფორმაციის დაბალი დონე ხდება საფუძველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის დაუცველობის მიზეზი. ადამიანები, რომლებიც ვერ იღებენ განათლებას, ვერ იღებენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ და წარმოადგენენ ჩაგრულ ჯგუფებს, საკმაოდ მძიმე სიტუაციაში უწევთ ცხოვრება.[10] ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებში ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უწყობს ტრადიციებისა და სოციალური ნორმების უარყოფით ტრანსფორმაციას, რაშიც დიდ როლს ასრულებს რელიგიური მოწოდებებიც. ასეთ შემთხვევებში ხშირია ადამიანთა დისკრედიტაცია გენდერული ნიშნითა და სოციალური კეთილდღეობით. სწორედ რელიგიურ მოტივებზე დაყრდნობით ნეგატიურად ტრანსფორმირებული ტრადიციები ქმნიან ისეთ დოგმებს, რომელთა დაცვა სავალდებულო ხასიათს ატარებს ადამიანებში და მათ უზღუდავს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. რელიგიური მოტივების გათვალისწინებით, მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ენიჭებათ პრიორიტეტი და წარმოადგენენ დაწინაურებულ გენდერს, რაც უმეტეს შემთხვევაში მძიმე შედეგების გამომწვევი ხდება. მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი თვლის რომ

[10]ეთნიკური უმცირეოსბების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, თეონა ფირანიშვილი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019 წელი.

კაცი ოჯახში ავტორიტეტია და ქალს ევალება მის მიმართ მორჩილება. კომუნიკაციის ნაკლებობის გამო ეს ადამიანები განიცდიან მუდმივი შიშისა და სისტემატიური ძალადობის გავლენას, რისი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი დამახინჯებული ტრადიციებია. განვითარებისა და სოციალური განათლების დაბალი დონის გამო ხშირია არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა, რაც გამოიხატება ნაადრევი ქორწინებითა და შესაბამისი სავალდებულო განათლების მიცემის დაბრკოლებით. ნაადრევ ასაკში ქორწინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას სამართალდამრღვევის მიმართ, თუმცა პასუხიმგებლობის თავიდან ასარიდებლად ხდება ასეთი ფაქტების დამალვა. არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა ატარებს მასობრივ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგებით მთავრდება. ოჯახები წინასწარ ათანხმებენ პირობებს, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ სარგებელს უკავშირდება და შემდგომ ხდება არასრულწლოვნის დაქორწინება ძალისმიერი მეთოდებით. ასეთ შემთხვევებში 14-15 წლის ბავშვების ქმრებად გვევლინებიან 25-30 წლის მამაკაცები, რაც კანონმდებლობის გათვალისწინებით სერიოზული დარღვევაა. კომუნიკაციისა და ჯანსაღი აზრის მიმართ დაბალი წვდომა წარმოშობს მსგავსი ტიპის პრობლემებს, რაც ხელს უშლის ადამიანისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს არსებობას. ამ საკითხის მიმართ დღესდღეობით არაერთი კვლევა და ღონისძიებაა გატარებული, თუმცა რეალური შედეგის მიღწევა საკმაოდ რთული და კომპლექსური საკითხია.

1.3.მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების განათლების ხელმოსაწვდომობის პრობლემა.

განათლების პრობლემა მარნეულში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისთვის საკმაოდ ძირეული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ეთნიკური უმცირესობისათვის ჯერ კიდევ არაა სრულიად ხელმისაწვდომი კვალიფიციური განათლება. სახელმწიფო საგანმანათლებო დაწესებულებებში სწავლების დონე საკმაოდ დაბალია, რაზეც მოწმობს განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკაც. განათლების დაბალ დონის თანმხლები პროცესია განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პრობლემაც. აქ წარმოდგენილი ახალგაზრდება საშუალო საფეხურის განათლებას იღებენ ძირითადად აზერბაიჯანულენოვან ან ქართულ-აზერბაიჯანულ სკოლებში. წარმოდგენილ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლება ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს, რაზეც მეტყველებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებიც. ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის ცოდნის მიღება დაკავშირებულია ასევე მნიშვნელოვან წინააღმდეგობასთანაც. სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებები კონცენტრირებულია ძირითადად დედაქალაქის ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის გადაადგილების თვალსაზრისითაც. უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ახალგაზრდები ვერ ახერხებენ ყოველდღიურად სიარულს სასწავლო დაწესებულებებში, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა ხარისხიანი განათლების მიღებისათვის. საგანმანათლებლო პოლიტიკის გააზრებისას მნიშვნელოვანი მომენტია 2004 წელი, როდესაც პირველად ხორციელდება ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების ხელშემწყობი პროექტების გენერირება. მიუხედავად ამისა წარმოდგენილი რეფორმები საკმაოდ დახარვეზებული იყო, რადგან ძალიან ხშირად იცვლებოდა პრიორიტეტები და საგანმანათლებლო კურსი. აღსანიშნავია 2012 წელი, როდესაც განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პოზიტიური დისკრიმინაციის მეთოდი, რაც ეთნიკურ უმცირესობებს საშუალებას აძლევთ ჩააბარონ მხოლოდ უნარების გამოცდები და მოხვდნენ ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, რომლის წარმატებით დამთავრება წინაპირობა გახდება

ქართულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის. წარმოდგენილი სახელმწიფო პროგრამა არის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის მიიღონ შესაბამისი კვალიფიციური განათლება.[11] მიუხედავად დადებითი მხარეებისა, იკვეთება ნეგატიური ასპექტებიც. ქართულ ენაში მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამა სრულიად ვერ უზრუნველყობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულენოვან სექტორთან და ქმნის წინააღმდეგობებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართულენოვანი ლიტერატურა, რომლის გააზრებაც ძალიან რთულია ეთნიკური წარმომადგენლებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი დაბრკოლება და ერთწლიანი კურსის ძირეულ ხარვეზს წარმოადგენს განათლების მსურველთა არაეფექტური ინტეგრაცია ეთნიკურად ქართველ სტუდენტებთან და გარესაზოგადოებასთან.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ზოგადი განათლების ხელშეწყობა და კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება. ზოგადი განათლების საფეხური წარმოადგენს ერთგვარ ტრამპლინს სუბიექტის მომავლის განსაზღვრის პროცესში და ხელს უწყობს მას თვითგამორკვევის პროცესში. დღესდღეობით ზოგადი განათლების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და ხშირად კრიტიკის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს, რაც ბუნებრივია გამოწვეულია არარელევანტური და არასტაბილური განათლების პოლიტიკით. სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ბილინგვური სწავლების მეთოდი და სესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, განათლების რეფორმის პრიორიტეტად განიხილება მასწავლებლების მომზადება და გადამზადება, რისი თვალსაჩინო მაგალითია 2015 წელს განხორციელებული

[11]განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო რეფორმა, თბილისი, 2012 წელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული პმასწავლებლები, რომელთა საერთო რაოდენობა ასეულობით განისაზღვრა. მიუხედავად ასეთი ქმედითი ნაბიჯებისა საშუალო განათლების დონე მაინც კრიტიკულ მდგომარეობაშია მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა აზერბაიჯანულენოვან სექტორში, რადგან სომხურენოვან და რუსულენოვან მოსწავლეებთან შედარებით, რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, უნარებში მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.[12]

ეთნიკური უმცირესობებისათვის კვალიფიციური განათლების მიღების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმია ბილინგვური სწავლების მეთოდი, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური აზერბაიჯანელებს მიიღონ შესაბამისი განათლება როგორც მშობლიურ ენაზე ასევე ქართულ ენაზეც. ასეთ შემთხვევაში მოხდება მათთვის ისეთი განათლების მიცემა, რომლის გამოყენებასაც შეძლებენ უმაღლეს საგანმანათლებო საფეხურზე.

საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების პრობლემებთან ერთად იკვეთება პროფესიული განათლების პრობლემაც, რომელიც საკმაოდ კრიზისულ მდგომარეობაშია. პროფესიული განათლების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება არაერთი პროექტი, თუმცა ამ შემთხვევაშიც შედეგიანობა საკმაოდ დაბალია. გასულ წლებში არ არსებობდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა პროფესიული სასწავლებლების განთვითარების ხელშესაწყობად. სწორედ ამიტომ პროფესიული განათლების პროგრამა დახარვეზებული და არაეფექტური იყო. ასევე ნაკლები იყო დაინტერესება მსურველთა მხრიდან. განათლების სამინისტროს 2015 წლის გეგმის მიხედვით პროფესიულ განათლებას მიენიჭა

[12]სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია, 2018წ.

პრიორიტეტი, რაც მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მარნეულში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის. წარმოდგენილი ახალგაზრდობა ძირითადად დაკავებულია ადგილობრივ წარმოებებსა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. პროფესიული განათლების პროგრამა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ განვითარებასა და ჩართულობას შესაბამისი საქმიანობის თვალსაზრისით.

განათლების პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემასა და კრიტიკის საგანს ეთნიკური უმცირესობების განვითარების და სოციალიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ თუ გადავხედავთ სტატისტიკას ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესია ეთნიკური აზერბაიჯანელების ჩართულობის თვასაზრისით. მიმდინარე პროექტები და სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული მიდგომები ეთნიკურ აზერბაიჯანელებს საშუალებას აძლევთ გააგრძელონ სწავლა ქვეყნის უმაღლეს დაწესებულებებში და მიიღონ კვალიფიციური განათლება, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას.

1.4. ინტერკულტურული განათლების პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებში.

ინტერკულტურული განათლების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეთნიკური უმცირესობების განვითარებისა და მათი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ინტერკულტურული განათლება ემსახურება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას პოლიეთნიკური საზოგადოებაში. კონკრეტულ შემთხვევებში განათლების მიღების ასეთი მეთოდის უპირატესობები აშკარაა და მარტივად გასაზიარებელი. კულტურათა გადაკვეთის მომენტში, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, არაერთი კონფლიქტი და უთანხმოება ახსოვს კაცობრიობას, რისი თავიდან აცილება თანამედროვე სამყაროში სავსებით რეალური და შესაძლებელია. კულტურათა გაზიარება ქმნის წინაპირობას ადამიანებმა გასცენ და მიიღონ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილებები, წესები და ჩვეულებები, რაც ხელს შეუწყობს მათ ერთმანეთთან დაახლოებას. [13]

ეთნიკური უმცირესობების სოციალური და კულტურული ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოსთვის. საერთო ღირებულებებისა და პრინციპების არსებობა მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, რაც ცხადია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.[14] ინტერკულტურული განათლება ქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა წარმომავლობისა და შეხედულებების სუბიექტები დააკავშიროს ერთმანეთთან, მისეც მათ შესაძლებლობა გააზიარონ საკუთარი ღირებულებები და გაეცნონ მათთვის უცხო წეს-ჩვეულებებს. ასეთი მოქმედებები ხელისშემწყობი ფაქტორია

[13]შალვა ტაბატაძე, ინტეგრაციისა და ინტერეთნიკურ ურთიერთობათა ცენტრი, თბილისი, საქართველო.
[14] Cultures of Desistance: Rehabilitation, Reintegration and Ethnic Minorities, A.Calverley Abingdon: Rutledge (2013 year) 230pp.

გაუცხოვებისა და კულტურათშორისი შეუთანხმებლობების თავიდან ასარიდებლად.

ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან მარნეულის ტერიტორიაზე, თვლიან რომ კულტურათშორისი დიალოგის პრობლემა საკმაოდ აქტუალური თემაა. ამის მთავარი მიზეზი რელიგიური იდენტობა და რიგ შემთხვევებში ტრადიციებია. ტრადიციებსა და რელიგიურ მოტივებზე დაყრდნობით, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია სახელმწიფოს ადგილობრივ ერთან დაკავშირებულია მრავალ წინააღმდეგობასთან, რაც გამოიხატება კულტურათაშორისი შეუთანხმებლობით. ამ საკითხის სიღრმისეული გააზრებისათვის აუცილებელია გავიზიაროთ ინტერკულტურული განათლების მიერ წარმოდგენილი შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს სწორი მიდგომებისა და შესაძლო ალტერნატივების გენერირებას. ერთა განვითარებისა და საერთო ღირებულებების გადაკვეთის პროცესში მნიშველოვანი ყურადღება ეთმობა იდენტობის საკითხსაც, რაც გულისხმობს წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ინტერკულტურული განათლების მოდელის შეთავაზება საკმაოდ მნიშვნელოვანი და აპრობირებული მეთოდია, რომელიც ერთგვარი წინაპირობა გახდა რამოდენიმე განვითარებული ქვეყნის ერების ასიმილაციის თვალსაზრისით. ერთა დაახლოების თვალსაჩნო მაგალითია საფრანგეთის რესპუბლიკა, სადაც ადგილობრივ ფრანგებთან ერთად ბასკების, აფრიკელების, გერმანელების, ებრაელების, მუსლიმების, პოლონელებისა და სამხრეთ აღმოსახლეთ აზიელების მრავალრიცხვოვანი ეთნიკური ჯგუფებია წარმოდგენილი.[15]მულტიკულტურული დიალოგის პრობლემის დასაძლევად აუცილებელია ერთა შორის საერთო ღირებულებით ინტერესებზე კონცეტრირება რისი ნათელი მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია. შტატების მულტიეთნიკური მაცხოვრებლებისათვის

[15] Ethnicity and Equality: France in the Balance, Azouz Begag, Translated and with an introduction by Alec G. Hargreaves. (2007 year) pp. 91-114.

სოციალურ-კულტურული ინტეგრაციისა და ერთმანეთთან დაახლოების უმთავრესი საფუძველი საერთო სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეზე ორიენტირებაა, რაც ძირეულად ეფუძნება სახელმწიფო კონსტიტუციას.[16]

II თავი: ეთნიკური უმცირესობების მიმდინარე პროცესებში ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორები

2.1. მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მაჩვენებელი და არსებული გამოწვევები.

ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია, რასი მთავარია მიზეზი კომუნიკაციისა და შესაბამისი სიახლეების მიმართ წვდომის არარსებობაა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არაა ინფორმირებული თუ რა ხდება სახელმწიფოში და რა პროცესები მიმდინარეობს. ისინი ემიჯნებიან აქტუალურ პროცესებს, რაც ხელს უშლის მათი რაციონალური არჩევნის გაკეთებას. პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი ქმნის ერთგვარ შესაძლებლობას მმართველი პოლიტიკური ძალისათვის მიიღოს შესაბამისი სასურველი შედეგი, რასაც ცხადყოფს განვლილი არჩევნები.[17] ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე ყოველთვის იმარჯვებს მმართველი პარტია და სწორედ ამიტომ, მოქმედი ხელისუფლება ირჩევს აპრობირეებულ გზას. მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის თუ როგორი საგარეო და საშინაო კურსი აქვს ქვეყანას, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა.

---

[16] Democracy in America: Alexis de Tocqueville, თარგმანი: დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011წ.

[17]საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში.

სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ რომ მიუხედავად ბევრი ინიციატივისა და პროექტისა, რომლებიც გამიზნული იყო ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის და მათი ჩართულობის მაჩვენებლის გასაზრდელად, არც თუ ისე ეფექტურია. უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენ ეთნიკური აზერნაიჯანელების სოციალური იინტეგრაცია რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. მარნეულის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ძირითად შემთხვევაში ემიჯნება სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, რადგან ენობრივი ბარიერის გამო ისინი განიცდიან ხიდჩატეხილობის სინდრომს ქართული საზოგადოების მიმართ. მათი სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური ნების გამოხატულება მინიმუმამდეა დაყვანილი.[18]

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური პასიურობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ნიშანია პოლიტიკური პარტიების ნაკლებად დაინტერესება და ჩართულობა. აქ წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანებები არ აცნობენ მოსახლეობას პრობლემათა გადაჭრის საშუალებებს და რეალური შეფასებებისაგან დისტანცირებულები არიან. სწორედ ამიტომ მოსახლეობის უმეტესობა ვერ იღებს ინფორმაციას პარტიათა მიზნებისა და სტრატეგიების შესახებ, რაც მათდამი ნდობას არ წარმოშობს.[19]

პოლიტიკური ჩართულობისა და აქტიურობის გაანალიზებისას აუცილებელია შევეხოთ ქალების ჩართულობასა და როლის პოლიტიკურ პროცესებში. ამ საკითხში ქალების როლი მინიმუმამდეა დაყვანილი და წარმოდგენილი სიტუაცია საკმაოდ პრობლემატურია. გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2014 წლის კვლევის

[18]ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი-NDI, 2018წ.
[19]ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, 2019წ.

მონაცემებით საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა საკმაოდ მცირეა, ხოლო მარნეულის რეგიონში მინიმუმამდეა დაყვანილი.[20] ეთნიკური უმცირესობების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში ძირითად შემთხვევებში დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც თავს იკავებენ ეთნიკური უმცირესობების ჩართვისაგან. ძირითად შემთხვევაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი დაკომპლექტებული ქართულენოვანი წარმომადგენლებით, რომლებიც წამყვან პოზიციებზე არიან დასაქმებულები. რაც შეეხება ადგილობრივ მაცხოვრებლებს ისინი ასრულებენ შედარებით ნაკლებად საპასუხისმგებლო საქმეებს.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია წარმოადგენს სახელმწიფოსთვის უნმიშვნელოვანეს ამოცანას. სოციალური და კულტურული ინტეგრაცია ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეებს თანაცხოვრების პროცესში და უადვილებს მათ კომუნიკაციას. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ქართული პოლიტიკის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები 2005 წლიდან, როდესაც მთავრობაში იქმნება სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინეგრაციების საკითხებში. წარმოდგენილი სამთავრობო უწყება მუშაობდა ეთნიკური უმცირესობების ინგრაციისა და მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე. ინსტიტუტის ფუნქციონირება არც თუ ისე ეფექტუნარიანი იყო, რადგან არასაკმარისი რესურსების გამო ვერ ხდებოდა მიმდინარე გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება(წლიური დაფინანსება განისაზღვრებოდა 200 000 ლარით).[21] ამ მიზეზთა გათვალისწინებით 2007 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა წარმოდგენილმა სახელმწიფო აპარატმა და 2008 წელს შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში, რომლის სტრუქტურაში ნათლად

[20]გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014წ.

[21]სახელმწიფო მინისტრის აპარატი ინტეგრაციის საკითხებში,2007 წლის ანგარიში

იკვეთებოდა ეთნიკურ უმცირესობათა საკითხები. სწორედ ამ პერიოდში იქმნება პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სახელით. დოკუმენტი მოიცავდა ისეთ ასპექტებს, რომლებიც შეეხებოდა ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაციასა და ინტეგრაციას. 2012 წლიდან ახალი გამოწვევების წინაშე დგება ინტეგრაციის საკითხი ეთნიკური უმცირესობების შესახებ. მიუხედავად მთავრობის ცვლილებისა რადიკალურად არ იცვლება სამოქმედო გეგმა, ხოლო 2015 წლიდან მთავრობა იღებს დადგენილებას რომელიც უზრუნველყოფს 5 წლიან გეგმას.[22] გეგმის მთვარი ამოცანაა განათლების ხელმისაწვდომობა, კულტურული და პოლიტიკური ინეგრაცია, სოციალური კეთილდღეობის გაზრდა. სახელმწიფო გეგმის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა მიმდინარე პროცესებში და მათი სამოქალაქო საზოგადოებად ტრანსფორმირება. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პროექტები წარმოადგენს ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს, რომელიც მიზნად ისახავს საერთო კეთილდღეობის კოეფიციენტის გაზრდას, თუმცა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები წარმოიქმნება პროექტების კოორდინირების დროს.

2.2. მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური ინტეგრაციის პრობლემა.

ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც კონცენტრირებულები არიან მარნეულის ტერიტორიაზე მთავარ პრობლემად მიიჩნევენ სოციალური ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციის პრობლემებს. მათი უმეტესობა მოკლებულია ინფორმაციულ წვდომას და შესაბამისად უჭირთ ადაპტირება მიმდინარე

[22]საქართველოს მთავრობის ანგარიში, განათლების სტრატეგია 2015-2020 წლები

საკანონმდებლო თუ ყოფით საკითხებთან. ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციის პრობლემას ამძაფრებს ისეთი ასპექტები როგორებიცაა: სახელმწიფო ენის არასრულფასოვნად და უკიდურეს შემთხვევაში საერთოდ არ ცოდნა, განათლების დაბალი დონე, ტრადიციებისა და დამკვიდრებული სოციალური ნორმების უარყოფითი ზეგავლენა. მარნეულის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეთნიკური აზერბაიჯანელების უმეტესობა თვითდასაქმებულია, მათი უმეტესი ნაწილი ჩართულია სასოფლო-სამეურნეო სფეროში, რომელიც ერთგვარი საშუალებაა არსებობისათვის ალტერნატიული გზის მოძიებისათვის.

თვითრეალიზაციის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია ახალგაზრდებში, რადგან მათთვის წარმოდგენილი პრობლემები გაცილებით რთული და კომპლექსურია. ახალგაზრდების თვითგამორკვევის პროცესს აფერხებს მარნეულის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების არარსებობა. წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ არის რეკრეაციული ადგილები სადაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა აქტივობების გამართვა. მნიშვნელოვანია გასართობი ლოკაციების სიმწირეც. მარნეულის ტერიტორიაზე არ არის არც თეატრი, არც კინო და არ შესაბამისი დაწესებულება სადაც მოხდება ახალგაზრდების შეკრება და აზრების გაზიარება.

თვითგამორკვევის პროცესს ძალიან ზღუდავს ასევე რელიგიისა და ტრადიციის გავლენა, რაც აბრკოლებს პიროვნული განვითარებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას. წარმოდგენილი სუბიექტები ხშირად ხდებიან მმართულნი გარეშე ძალებისაგან, რაც მათ არასწორ პოზიციაში აღმოჩენას უწყობს ხელს. რელიგიური თუ ტრადიციების გავლენის გამო ხშირია არასრულწლოვანთა ქორწინებაც, ან ნაადრევ ასაკში დაოჯახება, რაც ერთგვარი დამაბრკოლებელი ფაქტორის განვითარებისა და თვითრეალიზაციის თვალსაზრისით. მარნეულში მცხოვრები მდედრობითი სქესის წარმომადგენელი

რესპოდენტების მნიშვნელოვანი უმრავლესობა უმუშევარია და მათი მთავარი საქმე დიასახლისობაა. ასეთი არჩევნის მთავარ მიზეზად ასახელებენ რელიგიურ და კულტურულ მოტივებს, რომელიც ქალის როლმს მინიმუმამდე ამცირებს და მათ მთავარ საქმიანობას ოჯახის საქმესთან აიგივებს. ძალიან მძიმეა სიტუაცია უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, რადგან ქალების უმეტესობამ არ იცის რა უფლებები ენიჭებათ. მათი უმრავლესობა თვლის რომ ოჯახში წამყვანი პოზიცია კაცს ეკისრება და ზომიერი ძალადობა-გადაცდომა ნორმალურია. წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შეხედულებების მთავარი ამომავალი წერტილი არის სოციალური ინტეგრაციისა და შესაბამისი სამოქალაქო განათლების დაბალი დონე ან უკიდურეს შემთხვევაში არარსებობა. მარნეულის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლის პერიოდში ქორწინდება და სრულიად დამოკიდებული ხდება ოჯახზე. ქორწინების ინიციატორი მხარეები ძირითადად მშობლები არიან, რადგან ხდება სიტყვიერი შეთანხმება თუ რა მატერიალურ სიკეტეებს მიიღებენ ერთმანეთის ოჯახებიდან დაქორწინების შედეგად. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვნად იზღუდება ახალგაზრდების თავისუფალი ნება. ხოლო მინიმუმამდეა დაყვანილი მდედრობითი სქესის წარმომადგენლების უფლებები. ეთნიკურად აზერბაიჯანელებში მარნეულის ტერიტორიაზე დაოჯახების დასაშვები ასაკი საშუალოდ 14 წლიდან განისაზღვრება, რასაც რესპოდენტთა უმეტესობა რელიგიური მოტივებით ხსნის. რელიგიურ ნიადაგზე შექმნილი ოჯახები ძირითად შემთხვევაში გამოირჩევა არასტაბილური და ძალადობრივი ხასიათით, რაზეც შესაბამის დასკვნებს არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აქვეყნებს. მიუხედავად ასეთი ფატალური შედეგებისა ნაადრევად დაქორწინების პრობაგანდა აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივ მოსახლეობაში. ხშირია როდესაც სახლების ღობეებზე გამოკიდებული აქვთ თეთრი ან წითელი ნაჭრები,რაც ამცნობს დაოჯახების მსურველ ადამიანებს რომ ოჯახში ჰყავთ დასაოჯახებელი გოგო,

რომლის განმარტებაც ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან მივიღეთ. შექმნილი სიტუაცია და სოციალური ცნობიერება საკმაოდ დახარვეზებული და პრობლემატურია, რაც თავისთავად ქმნის პრობლემათა კომპლექსურ ხასიათს.

განათლების დონისა და სოციალური ინტეგრაციის არარსებობა ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის არის ძირეული პრობლემა თვითრეალიზაციის თვალსაზრისით და სწორედ ამიტომ ახალგაზრდების უმეტესობა არ არის ჩართული პოლიტიკურ თუ კულტურულ საქმიანობებში. მათი უმეტესობა ცდილობს თვითდასაქმების საშუალებით გაუმკლავდეს წამოჭრილ ეკონომიკურ გამოწვევებს, რაც გარკვეულწილად დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო ენის არცოდნა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია კანონმდებლობისა და სამართალდარღვევების განსაზღვრის პროცესში. სწორედ ამიტომ მათი ეკონომიკური საქმიანობის თანმდევი პროცესია კანონდარღვევათა დიდი რაოდენობა, რაც უმეტესწილად საკითხების არცოდნითაა გამოწვეული. პასუხისმგებლობის დადგომასთან ერთად იმატებს მათი დაინტერესება კანონმდებლობის მიმართ, თუმცა მათი საბაზისი ცოდნა სრულია ვერ აკმაყოფილებს საჭირო ასპექტების გააზრებას, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოა.

2.3. მედიისა და მასმედიის როლი ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პროცესში.

ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის, რომლებიც კონცენტრირებულები არიან მარნეულის მუნიციპალიტეტში, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მედია საშუალებებთან წვდომის ნაკლებობა და ძირითად შემთხვევაში არარსებობა. მედია საშუალებების როლი საკმაოდ დიდია თანამედროვე სამყაროს ინფორმირების თვალსაზრისით, რაც ეხმარება სუბიექტს სწორად განსაჯოს და შეაფასოს მიმდინარე პროცესები, ჰქონდეს ადეკვატური შეხედულება წარმოქმნილ

პრობლემებზე. მედია საშუალებების არარსებობა ხელს უშლის ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების დონის ჩამოყალიბებას, რაც ხშირ შემთხვევაში მათ ინფორმაციულ ვაკუუმს უქმნის. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანებია, ცხადია, მოკლებული არიან ჯანსაღ აზრს, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს დემოკრატიზაციის პროცესს. განვითარებული სახელმწიფოსათვის უმთავრესი წინაპირობაა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება.[23] სწორედ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება ქმნის ჯანსაღ აზრს და ხელს უწყობს დომოკრატიული მიდგომების ჩამოყალიბებას. ასეთ შემთხვევაში უმთავრესი წინაპირობაა სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციაზე წვდომის სრული თავისუფლება.[24] სამოქალაქო საზოგადოების ფორმირესისათვის დიდი როლი ეკისრება მედია საშუალებების ობიექტურ მუშაობას და მათ ნეიტრალურ პოზიციას, რაც ერთგვარ საშუალებას აძლევს მსმენელს მიიღოს მოცემული ინფორმაცია ნეიტრალური საწყისით, შემდგომ გადაამუშაოს და განსაჯოს. მსჯელობისა და ლოგიკური განსჯის დახმარებით ყალიბდება კონკრეტული შეხედულება, რაც განაპირობებს მის შემდგომ გაზიარებას.

მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები მნიშვნელოვნად განიცდიან მედია საშუალებების არარსებობას. კომუნიკაციის პრობლემა, რომელიც განპირობებულია სახელმწიფო ენის არცოდნით, საკმაოდ აქტუალურია. მათი ინფორმაციის წყაროს ნაცვლად ტელევიზიისა და ჟურნალ-გაზეთებისა, წარმოადგენს მოსახლეობაში გავრცელებული აზრი, რომელიც ვერბალურად გადაეცემა სუბიექტებს. ცხადია, ასეთი ინფორმაციის წყაროს ავთენტურობაზე ზედმეტია ლაპარაკი. სწორედ ამიტომ, მოსახლეობის უმეტესობა

[23]სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, გია ნოდია, 2005 წელი.

[24]სოციალური დემოკრატიის საფუძვლები, ტობიას გომბერტი და სხვები, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2016 წელი.

თავს ქართული სახელმწიფოს შიდა პროცესებისაგან მოწყვეტილად გრძნობს. ადამიანების უმეტესობას არ აქვს ინფორმაციული წვდომა სახელმწიფო სერვისებისა და შესაბამისი პროექტების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა მათი სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

მასმედიის ჩართულობის როლი სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანი რაოდენობა განიცდის ინფორმაციაზე წვდომის დეფიციტს და მათი მიმდინარე პროცესების მიმართ ცნობიერება საკმაოდ დაბალია. წამოჭრილი პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სუბიექტებს არ შეუძლიათ გახდნენ სახელმწიფოს სრულფასოვანი წარმომადგენლები. ეთნიკურ უმცირესობებს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ბილინგვური მედია მაუწყებლობების არარსებობა, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან ამ ნაკლებად დაინტერესებით.

კვლევა: მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც სოციალური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ძირეულად იყო გადაკვეთილი პოლიტიკური სუბიექტების სამოქმედო კურსზე. სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სუბიექტთა ისეთ ერთიანობას, რომელებიც წყვეტენ თუ ვის ჩააბარონ სახელმწიფო მართვის სადავეები და მიანიჭონ დელეგირებული ძალაუფლება. სამოქალაქო საზოგადოებას დღესდღეობით აკისრია მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც გამოიხატება მმართველი გუნდის მხრიდან განხორციელებული მოქმედებების ანგარიშვალდებულებით.

სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს მაღალზნეობრივი, კულტურულ-სოციალური პროდუქტის შემქმნელს, რომელსაც ევალება წარსულში მიღებული გამოცდილების, კულტურულ-სოციალური ღირებულებების ტრანსფერირება მომავალ თაობაზე. ასეთი გაზიარების მეთოდი ხელს უწყობს საზოგადოების სწორ, რაციაონალურ ერთობად გარდაქმნას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარების კოეფიციენტის ზრდაში. მნიშვნელოვანია შევეხოთ ისეთ ასპექტებს, რაც სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს როგორც არშემდგარ ერთობას, ამის მაგალითები საკმაოდ მრავლადაა და ძირითადად ახასიათებს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს. ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია ერთიანობა, საერთო ღირებულებები და მოქმედების ეფექტურ-რაციონალური გეგმა, რაც წარმოშობს ერთგვარ დისბალანსს და ხშირია დაპირისპირებები. კონფლიქტებისა და დაპირისპირებების უმთავრესი ამხსნელი ცვლადია არაეფექტური სახემწიფო კურსი, ან მაღალი დონის გავლენა ქვეყნის გარეთ მოთამაშე პოლიტიკური სუბიექტისგან, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს საზოგადოებას. აზრთა დისბალანსი, საკითხების მიმართ განსხვავებული შეხედულებები და არაფორმირებული სახელმწიფო კურსი ხშირ შემთხვევაში აფერხებს, ანელებს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და გაერთიანებას. დღევანდელ მსოფლიოში ასეთი მაგალითი საკმაოდ მრავლად მოიძებნება.

მნიშვნელოვანია შევეხოთ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას ლოკალური ადგილებიდან სანამ გლობალურზე ვისაუბრებთ. სწორედ ადგილობრივი

თვითმმართველობებსა და მუნიციპალიტეტებს აკისრიათ ფორს მაჟორი როლი ადგილობრივი მოსახლეობის ხელშესაწყობად, რათა ტრანსფორმირდნენ სამოქალაქო საზოგადოებად და მიიღონ უშუალო მონაწილეობა ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებში რომლებიც გლობალურად მნიშვნელოვანია როგორც რეგიონისათვის ასევე სახელმწიფოსთვის. წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე პროცესებში და კვლევისთვის წარმოდგენილია ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტი. წარმოდგენილი ქალაქი ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა.

დიაგრამა N1



წარმოდგენილ დიაგრამაზე ნაჩვენებია მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელების მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. წარმოდგენილი პრობლემების გააზრება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ წამოჭრილი საკითხები აფერხებს განვითარებას და ზღუდავს სოციალურ

ინტეგრაციას. რესპოდენტთა უმეტესობა თვლის რომ წარმოდგენილ ტერიტორიაზე საკმაოდ აქტუალურია დასაქმების პრობლემა. უმუშევრობა და ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა განაპირობებს განვითარების უკუქცევად პროცესს, რაც ტრანსფორმირდება სხვადასხვა მნიშვნელოვან დაბრკოლებაში, რისი მაგალითიცაა განათლების ხელმისაწვდომობა და სხვა ასპექტები. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია ეთნიკური დისკრიმინაციის საკითხი. ეთნიკური უმცირესობების 60%-ზე მეტი თვლის რომ არ განიცდიან ეთნიკურ შევიწროვებასა და დევნას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური მშენებლობის თვალსაზრისით.

წარმოდგენილ რესპოდენტთა 50% თვლის რომ ენობრივი ბარიერი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც წარმოშობს კომუნიკაციის ბარიერებს და აფერხებს მოსახლეობის ინფორმირების დონეს. რაც შეეხება განათლების პრობლემას, რესპოდენტთა გადაწყვეტილება თანაბარ დონეზეა, რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია. განათლების სამინისტროს არაერთი პროექტის მიუხედავად, მარნეულის ტერიტორიაზე განათლების მიღების საკითხი კვლავ ძირეულად პრობლემატურია.

დიაგრამა N2



ეთნიკური აზერბაიჯანელების ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა განათლების დონე და მისი ხელმისაწვდომობა. განათლების დონის განსაზღვრით შესაძლებელია ვიმსჯელოთ საზოგადოების განვითარების მაჩვენებელზე. ეს საკითხი მნიშვნელოვნად დგას სახელმწიფოს დღის წესრიგში და შესაბამისი ღონისძიებებიც აქტიურად ხორციალდება, თუმცა შედეგები არასახარბიელოა. წარმოდგენილ დიაგრამაზე ასახულია რესპოდენტთა ასაკობრივი ჯგუფების განათლების საშუალო პროცენტები. წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით საკმაოდ მძიმეა სიტუაცია 65 წელზე მეტი ასაკის რესპოდენტებში. თუ გავითვალისწინებთ გასულ საუკუნეში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, შედეგი სრულიად ნორმალურია, რადგან სოციალისტური კავშირი მის გაერთიანებაში მყოფი სახელმწიფოების მოქალაქეებს უმაღლეს განათლებას

პრიორიტეტულად არ მიიჩნევდა.[25] საზოგადოების უდიდესი ნაწილი ჩართული იყო სამეურნეო-სამრეწველო საქმიანობაში. 36-65 წლამდე ჯგუფებში თითქმის იდენტური სიტუაციაა და შეინიშნება ძვრები უმაღლესი განათლების მიმართ დაინტერესების გაღრმავებაში. თვალსაჩინოა ახალგაზრდა რესპოდენტთა ჩართულობა განათლების მიღების პროცესში. გამოკითხულ ახალგაზრდათა თითქმის ნახევარს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვევის პროცესის სწორად განვითარებისათვის.

დიაგრამა N3



მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები განიცდიან თვითრეალიზაციის პრობლემას. მათი ყოველდღიული ცხოვრების რიტმი ვერ უწყობს ფეხს თანამედროვე გამოწვევებს, რისი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორია დაბალკვალიფიციური ცოდნა, ან შესაბამისი განათლების არქონა. წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა,

[25]საბჭოთა კავშირი: იდეოლოგია და პოლიტიკა, მალხაზ მაცაბერძე, თბილისი, 2019 წელი.

გამოკითხვის მიხედვით, მეტწილად დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო სფეროში. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტისა, რომელიც მიმართულია აგროსექტორის ხელშეწყობისთვის და ითვალისწინებს სხვადასხვა უფასო დახმარებებს.[26] წარმოდგენილ მუნიციპალიტეტში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიცაა. რესპოდენტები, რომლებიც დასაქმებულები არიან აგრო სექტორში, აღნიშნავენ რომ უჭირთ მიღებული მოსავლის რეალიზაცია და ხშირ შემთხვევაში ჭარბი მოსავალი უფუჭდებათ.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩართულია კერძო სექტორში და ძირითად შემთხვევაში წარმოადგენენ დაქირავებულ მუშა ხელს. როგორც რესპოდენტთა ნაწილი აღნიშნავს, კერძო სექტორში დასაქმებულთა შრომითი მგომარეობა საკმაოდ მძიმეა. დასაქმებულებს უწევთ საკმაოდ რთული და კომპლექსური სამუშაოს შესრულება, ასევე სამუშაო დრო შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმას მნიშვნელოვნად აღემატება, ანაზღაურება კი ნორმალურზე გაცილებით დაბალია. რესპოდენტები რომლებიც წარმოდგენილ პრობლემებს ასახელებენ, ღიად ვერ საუბრობენ უშუალოდ დამსაქმებელთან სამუშაოს დაკარგვის შიშით.

გამოკითხული რესპოდენტების მიზერული ნაწილია დასაქმებული საჯარო სექტორში, რაც არაერთხელ ნახსენები განათლების დაბალი დონით აიხსნება.

[26]საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019 წელი.

დიაგრამა N4



ქართული ენის ცოდნა ერთ-ერთი ძირეული პრობლემა ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის. მათი დიდი ნაწილი, რომლებიც ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტში, განიცდიან სოციალიზაციის დაბალ გავლენას. რესპოდენტთა გამოკითხვამ გვაჩვენა პრობლემის სიმწვავე, რაც განპირობებულია ბილინგვური სწავლებების არაეფექტური განხორციელებებით. განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში არიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც ენის არ ცოდნას უკავშირებენ საზოგადოებასთან მინიმალურ კონტაქტს. როგორც რესპოდენტთა ნაწილმა აღნიშნა, კულტურული და რელიგიური ნორმების გათვალისწინებით, ქალების უმრავლესობა საოჯახო საქმითაა დაკავებული. მსგავსი ტრადიციულ-კულტურული ნორმები მნიშვნელოვნად აფერხებს სუბიექტთა თვითრეალიზაციის საშუალებას და ხელს უშლის მათ სამოქალაქო საზოგადოებად

გარდაქმნას. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მამაკაცებში. როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, გარკვეულ ნაწილს მირებული აქვს ორენოვანი განათლება, ხოლო უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობების შედეგად შეისწავლა.

დიაგრამა N5



მარნეულში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციულობ დონის განსასაზღვრად რესპოდენტებს შევთავაზეთ კითხვარი. წარმოდგენი პასუხების მიხედვით ადამინთა 90%-მა არასწორად იცის, ან თავს იკავებს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად თუ ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ხოლო მხოლოდ 10%-მა გასცა სწორი პასუხი. მნიშვნელოვანია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის არცოდნაც, რაც 90%-ზე მეტს მოიცავს, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელმწიფოებრივი ცნობიერების დონის განსაზღვრისათვის. რესპოდენტების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 60%, ზუსტად ასახელებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თარიღს, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი ცდება. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი ფაქტები ცხადყოფს მათ

დაინტერესებასა და ინფორმაციულ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში. რესპოდენტთა უმრავლესობა შეცდომაში შეიყვანა შეკითხვამ თუ როგორია სახელმწიფო მმართველობის მოდელი, და 70%-ზე მეტმა განაცხადა რომ საქართველო საპრეზიდენტო მოდელზეა. რესპოდენტთა 20%-მა კი დააფიქსირა სწორი პოზიცია. წარმოდგენილი პასუხების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის ინფორმაციის დანაკლის, რაც მათი სოციალური ცნობიერების დონის განვითარებას აფერხებს.

დიაგრამაN6



რესპოდენტთა კულტურულ-სოციალური ჩართულობის შესახებ მიღებული შედეგები ცხადყოფს რომ, მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების აქტივობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რის მთავარ მიზეზად კულტურულ-

რელიგიურ მოტივებს ასახელებენ. მამაკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩართულია გასართობ ღონისძიებებში და ძირითადად ასახელებენ რელიგიური ფორმატით გამართულ შეკრებებს. წარმოდგენილი შედეგების გათვალისწინებით, ცხადია სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი შეფერხება, რაც მოსახლეობის პასიურობითაა განპირობებული.

დიაგრამა N7



რესპოდენტთა საშუალო თვიური შემოსავალი საკმაოდ პრობლემური საკითხია რაც კრიტიკის მნიშვნელოვანი საფუძველია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თვითდასაქმებულია და შემოსავლის სიმცირეს უჩივის. მნიშვნელოვანი დისბალანსია გენდერული სხვაობით მიღებულ შემოსავალშიც. ქალების ნახევარზე მეტის თვიური შემოსავალი 0დან-200 ლარამდეა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. საერთო ჯამში რესპოდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ დაბალი შემოსავლის გამო და ამბობენ რომ გამოწვევებს ვერ უმკლავდებიან. დაბალი შემოსავლით არ შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური განათლება.

სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელ მნიშვნელოვან საფუძვლად ასახელებენ უსახსრობას. წამოჭრილი საკითხის მიმართ რესპოდენტთა პოზიციები იდენტურია და ყველა თანხმდება რომ სოციალურ-ეკონომიკური ფონი საკმაოდ დაბალია.

დიაგრამა N8



მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების ოჯახები ძირითადად მონოეთნიკურია, თუმცა როგორც კვლევამ გვაჩვენა ორი ერის თანაცხოვრების პროცესში ზომიერი ასიმილაცია გარდაუვალი პროცესია. რესპოდენტთა 51%-ის განცხადებით მათი ოჯახები მონოეთნიკურია, ხოლო დანარჩენი 49%-ის ოჯახის რომელიმე წევრი მაინც არის ეთნიკურად ქართველი.

დიაგრამა N9



მარნეულის რაიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების გამოკითხვამ ცხადყო რომ მათი მნიშვნელოვანი უმრავლესობა ყველაზე მეტად ენდობა რელიგიურ ინსტიტუტს. რელიგიურ ცხოვრებაში მათი ჩართულობაც საკმაოდ მაღალია. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ევროპული არჩევანი, ისინი საკმაოდ მაღალი პროცენტით ენდობიან ნატოსა და ევროკავშირის ორგანიზაციას. ასევე დიდი ნდობით სარგებლობს საქართველოს პოლიციაც, რაც წარმოდგენილი ინსტიტუტის გამართულ საქმიანობაზე მიუთითებს. რესპოდენტთა უმეტესობა აზერბაიჯანის მთავრობაზე მეტად ენდობა თურქრთის მთავრობას, რაც საკმაოდ გასაკვირია. ისინი აღნიშნავენ რომ მოსწონს თურქეთის პოლიტიკური კურსი. უკიდურესად დაბალია რუსეთის მთავრობის მიმართ ნდობა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. ასევე ნაკლებად ენდობიან ოპოზიციურ პარტიებს და პრეზიდენტის ინსტიტუტს. რაც შეეხება მმართველი გუნდისა და სასამართლო ინსტიტუტის მიმართ ნდობას, შედეგები დამაკმაყოფილებელია.

დიაგრამა N10



რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგად უფროსი ასაკის წარმომადგენლებისაგან მივიღეთ საკმაოდ დიდი უარყოფითი პასუხი საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. 60+ ასაკის ჯგუფის წარმომადგენლების 90% თვლის რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რის არგუმენტად შიდა წარმოების სიმწირე და ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობას ასახელებენ. სახელმწიფო სისტემა აგებულია ძირითადად იმპორტზე და დამოკიდებულია იმპორტიორი ქვეყნის მიერ დაწესებულ ფასებზე, რაც ქვეყანას არასტაბილურ გარემოში ამყოფებს. მიუხედავად ასეთი შეხედულებისა ახალგაზრდები თვლიან რომ საქართველო არის სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანა, სადაც ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს იცავს კანონი. თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლება არის ძირეული ღირებულება დემოკრატიის მშენებლობისათვის. საშუალო ასაკის წარმომადგენლების უმეტესობა თვლის რომ სახელმწიფო არარის სრულიად

დამოუკიდებელი და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი დამოკიდებულია გარეშე პოლიტიკურ სუბიექტებზე. წარმოდგენილი დიაგრამის გაანალიზება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, თუ რამდენადაა ჩართული საზოგადოების ნაწილი მიმდინარე პროცესებში და როგორია მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებების გადაკვეთა სახელმწიფო სუვერენიტეტთან.

დიაგრამა N11



მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს წარმოვადგინოთ ჰიპოტეზა აქ მაცხოვრებელი ადამიანების პოლიტიკური აქტივობის შესახებ. როგორც რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა ისინი საერთოდ არ არიან ჩართულები პოლიტიკურ პროცესებში და მეტ წილად საერთოდ ემიჯნებიან. აღსანიშნავი და ყურადღებამისაქცევია 36-45 წლამდე რესპოდენტთა ჯგუფი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები, თუმცა კონკრეტულ შეკითხვებზე შესაბამისი ადეკვატური პასუხების სიმწირით გამოირჩევიან. 18-25 წლამდე ახალგაზრდების პროცენტული წილიც საკმაოდ

დამაკმაყოფილებელია, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმირების თვალსაზრისით.

დიაგრამა N12



მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკური ჩართულობის დონის განსასაზღვრად რესპოდენტებს შევთავაზეთ რამოდენიმე შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მიღებული შედეგების გაანალიზებით შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოტეზა რომ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობა საკმაოდ დაბალია. რესპოდენტთა 60%-მა იცის პასუხი თუ როდის მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა, ნახევარზე მეტმა იცის როდის მოხდა ვარდების რებოლუცია, თითქმის 90%-მა იცის რომელი პარტია მართავდა ქვეყანას 2004-2012 წლები. თუმცა საკმაოდ დაბალია პოლიტიკური პროცესების შესახებ ცოდნა შემდგომ ეტაპზე. რესპოდენტთა 80%-ზე მეტი ვერ სცემს სწორ პასუხს თუ ვინ

იყო ქვეყნის პრემიერ მინისტრი 2013-2015 წლებში. დაახლოებით 70%-მა არ იცის ვინ არის ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 70%-ს არ შეუძლია სწორი პასუხი დააფიქსიროს შეკითხვაზე თუ ვინ იყო სალომე ზურაბიშვილის წინამორბედი პრეზიდენტი. მოცემული შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. გამოკითხული სუბიექტები ვერ სცემენ სწორ პასუხს ელემენტარულ შეკითხვებს, რისი მთავარი მაცვენებელი მათი მიმდინარე პროცესებში ჩართულობის დაბალი დონეა.

დიაგრამა N13



რესპოდენტთა გადაწყვეტილებით მდობის ყველაზე დიდი მაჩვენებლით მმოქმედი სახელისუფლებო პარტია ლიდერობს. გამოკითხულთა 44% მხარს უჭერს ქართულ ოცნებას. მიუხედავად მთავრობის მიმართ კრიტიკული განცხადებისა, რესპოდენტების უმრავლესობა თვლის რომ წარმოდგენილი პოლიტიკური პარტია მეტოქეებთან შედარებით გაცილებით უკეთესია და სწორედ ამიტომ უჭერენ მხარს. 20 პროცენტს წარმოდგენს მოსახლეობის ის ნაწილი ვინც

გაერთიანებულ ოპოზიციას უჭერს მხარს, თუმცა რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის რომ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ლიდერი უნდა გახდეს ისევ პრეზიდენტი, რაც ცხადია მეტყველებს პოლიტიკური პროცესებისადმი ჩართულობის დაბალ მაჩვენებელს. რესპოდენტთა 10% ნდობას უცხადებს ევროპულ საქართველოს. წარმოდგენილი მხარდამჭერები ძირითადად ახალგაზრდები არიან და კითხვაზე თუ რატომ უჭერენ მხარს პარტიას, პასუხობენ რომ მათი არჩევანია ევროპული ღირებულებები და პროდასავლური პოლიტიკური კურსი. რაც შეეხებათ პატრიოტთა ალიანსსა და ლეიბორისტურ პარტიას, რესპოდენტებმა არ იციან მათი სამოქმედო გეგმების შესახებ და ნაკლებად იციან მათ მიდგომებზე. წარმოდგენილი შედეგები მნიშვნელოვანია რესპოდენტთა აზრების გასაანალიზებლად მათი პოლიტიკური არჩევნის შესახებ.

დიაგრამა N14



რესპოდენტთა დიდი ნაწილი თვლის რომ მოქალაქემ მხარი უნდა დაუწიროს მმართველ პარტიას. ამ პოზიციის არგუმენტად გამოკითხულთა 64% თვლის რომ პოლიტიკური პარტიების ცვლილება არასტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც შემდგომ პროცესებში წარმოშობს ანარქიულ სიტუაციას. მოცემულ დებულებას იზიარებს საზოგადოების ძირითადად შედარებით უფროსი ნაწილი და მთავარ არგუმენტად ისტორიული გამოცდილება მოჰყავთ. რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი თვლიან რომ არ შეიძლება იყო მმართველი ძალის მხარდამჭერი და პირიქით, აქტიურად უნდა იყო მაკონტროლებელი დემოკრატიის გამტარებელი, რაც გულისხმობს მმართველი ძალის ოპონირებას. ასეთ შემთხვევაში ოპონირება მმართველ გუნდს მუდმივ მზადყოფნაში ამყოფებს, რაც ცხადია უკეთესია საერთო სახელმწიფოებრივი საქმისათვის.

დიაგრამა N15



რესპოდენტთა შეხედულებები შეკითხვაზე თუ რამდენად აქტიურად უწყობს ხელს მთვარობა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასა და თვითრეალიზაციას ინდიფერენტულია. გამოკითხულთა 60% თვლის რომ მთავრობა სრულიად არ ზრუნავს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე. ხოლო 30%-ის აზრით სახელმწიფო შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ ინტეგრაციის საკითხებში. 10% თვლის რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მნიშვნელოვანი და ქმედითუნარიანია. ამ პოზიციას იზიარებს ძირითადად ახალგაზრდები, რომლებიც თვლიან რომ სახელმწიფოს მხრიდან

განხორციელებული პროექტები ეხმარებათ განათლების მირებაში და აცქარებს მათ სოციალურ ინტეგრაციას.

დასკვნა:

ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ეთნიკური აზერბაიჯანელების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესწავლა და საკვირვება თუ რამდენად არიან ჩართულები მიმდინარე პროცესებში. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმ რთულ ეკონომიკურ პირობებზე რომელიც მნიშვნელოვნად დგას დღის წესრიგში ადგილობრივ მოსახლეობაში. მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს კომუნიკაციის ნაკლებობა. ეთნიკური უმცირესობების საკომუნიკაციო წყაროს წარმოადგენს აზერბაიჯანული ენა, რომელიც თანხვედრაში არ მოდის სახელმწიფო დაწესებულებების სამუშაო ენასთან. წარმოდგენილი ადამიანების უმეტესობა საუბრობს მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და სიახლეების მიღება მნიშვნელოვან წინაღობასთანაა დაკავშირებული, რაც მათ კრიზისულ მდგომარეობაში აყენებს.

როგორც კვლევამ გვაჩვენა განათლების პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემასა და კრიტიკის საგანს ეთნიკური უმცირესობების განვითარების და სოციალიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ თუ გადავხედავთ სტატისტიკას ბოლო ათი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესია ეთნიკური აზერბაიჯანელების ჩართულობის თვასაზრისით. მიმდინარე პროექტები და სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული მიდგომები ეთნიკურ აზერბაიჯანელებს საშუალებას აძლევთ გააგრძელონ სწავლა ქვეყნის უმაღლეს დაწესებულებებში და მიიღონ კვალიფიციური განათლება, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას.

თვითრეალიზაციის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია ახალგაზრდებში, რადგან მათთვის წარმოდგენილი პრობლემები გაცილებით რთული და

კომპლექსურია. ახალგაზრდების თვითგამორკვევის პროცესს აფერხებს მარნეულის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების არარსებობა. წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ არის რეკრეაციული ადგილები სადაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა აქტივობების გამართვა. მნიშვნელოვანია გასართობი ლოკაციების სიმწირეც. მარნეულის ტერიტორიაზე არ არის არც თეატრი, არც კინო და არ შესაბამისი დაწესებულება სადაც მოხდება ახალგაზრდების შეკრება და აზრების გაზიარება.

მასმედიის ჩართულობის როლი სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მარნეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მნიშვნელოვანი რაოდენობა განიცდის ინფორმაციაზე წვდომის დეფიციტს და მათი მიმდინარე პროცესების მიმართ ცნობიერება საკმაოდ დაბალია. წამოჭრილი პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სუბიექტებს არ შეუძლიათ გახდნენ სახელმწიფოს სრულფასოვანი წარმომადგენლები. ეთნიკურ უმცირესობებს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ბილინგვური მედია მაუწყებლობების არარსებობა, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან ამ ნაკლებად დაინტერესებით.

ეთნიკური უმცირესობების სოციალური და კულტურული ინტეგრაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოსთვის. საერთო ღირებულებებისა და პრინციპების არსებობა მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, რაც ცხადია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.ინტერკულტურული განათლება ქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა წარმომავლობისა და შეხედულებების სუბიექტები დააკავშიროს ერთმანეთთან, მისეც მათ შესაძლებლობა გააზიარონ საკუთარი ღირებულებები და გაეცნონ მათთვის უცხო წეს-ჩვეულებებს. ასეთი მოქმედებები ხელისშემწყობი

ფაქტორია გაუცხოვებისა და კულტურათშორისი შეუთანხმებლობების თავიდან ასარიდებლად.

წარმოდგენილი ნაშრომის უმთავრესი მისია იყო მნიშვნელოვანი საკითხების შესახების შესახებ ინფორმაცია მიგვეღო ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან, რაც თავისთავად გაზრდის სანდოობის დონეს. ადამიანები რომლებიც ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტში და არიან ეთნიკური უმცირესობები საჭიროებენ დახმარებას მთავრობის მხრიდან. მათ აქვთ ინტეგრაციისა და სოციალიზაციის პრობლემა, რაც ხელს უშლით თვიდამკვიდრებაში. სწორედ ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ განსაზღვროს სწორი კურსი, თუ როგორ შეიძლება ამ ადამიანების ჩართვა მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ პროცესებში. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ ახალგაზრდების უმეტესობას არ აქვს გართობის საშუალება. წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს არც თეატრი, არც კინო და არც კულტურული დაწესებულებები, სადაც შესაძლებლობა ექნებათ ადამიანებს შეიკრიბონ.

მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშეა გენდერული ბალანსიც. რესპოდენტების უმეტესობა აღნიშნავს რომ ქალთა უფლებები მინიმუმამდეა დაყვანილი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები სარგებლობენ პრიორიტეტებით. აუცილებელია სახალხო დამცველის აპარატის გააქტიურება და შესაბამისი სოციალური მუშაკების ჩართვა წამოჭრილი პრობლემის შესწავლისა და გადაჭრის თვალსაზრისით.

მოსახლეობის ჩართულობის დონის გასაზრდელად აუცილებელია მოეწყოს ხშირი კულტურული აქტივობები, რაც ადამიანებს დააახლოვებს ერთმანეთთან და შესაძლებლობებს მისცემს გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება. ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ თვითგამოხათვის მაქსიმალური საშუალება. ისინი

აქტიურად უნდა ჩაერთონ ადგილობრივ თვითმმართველობაში და მიიღონ პროექტებში მობაწილეობა, რაც განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, გია ნოდია, 2005 წელი.

სოციალური დემოკრატიის საფუძვლები, ტობიას გომბერტი და სხვები, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2016 წელი.

ბენედიქტ ანდერსონი. წარმოსახვითი საზოგადოება. გამომცემლობა "ენა და კულტურა", რეალობა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2012

მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1990

ნოდარ ნათაძე. ერი და ეროვნული კულტურა. გამომცემლობა "მეცნიერება", უმცირესობათა მართვის პოლიტიკა საქართველოში: პრაქტიკული სახელმძღვანელო. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, თბილისი 2012

კოლინ ბეიკერი. ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები. მეოთხე გამოცემა. თარგმანი: შალვა ტაბატაძე. რედაქტორები: კახა გაბუნია, ქეთევან გოჩიტაშვილი. თბილისი 2010

გერჰარდ რობერსი. სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. რედაქტორები: პაატა გაჩეჩილაძე, ხათუნა ცინცაძე. კონრად ადენაუერის ფონდი, თბილისი 2011

სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები. რედაქტორები: გიგა ზედანია, მერაბ ღაღანიძე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009

ეროვნული უმცირესობების უფლებათა მარეგულირებელი ნორმები საერთაშორისო სამართალში და საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში. რეინტეგრაციის

საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. გამომცემლობა “ბონა კაუზა”, თბილისი 2010

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში, გაგა ნიჟარაძე, თბილისი 2003 წელი.

ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, გიორგი სორდია, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი, 2009 წელი.

დავით ზურაბიშვილი, ერთი საზოგადოება,მრავალი ეთნოსი(ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში). მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, 2003წ.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14, მუხლი 38, მუხლი 34.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს მთავრობის განკარგულება N1740, თბილისი, 2015 წელი.

საქსტატის მოსახლეობის აღწერის ოფიციალური მონაცემები www.geostat.ge

საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2010 წელი.

ეთნიკური უმცირეოსბების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, თეონა ფირანიშვილი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019 წელი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო რეფორმა, თბილისი, 2012 წელი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია, 2018წ.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი-NDI, 2018წ.

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, 2019წ.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014წ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ინტეგრაციის საკითხებში,2007 წლის ანგარიში საქართველოს მთავრობის ანგარიში, განათლების სტრატეგია 2015-2020 წლები Democracy in America: Alexis de Tocqueville, თარგმანი: დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011წ.

Cultures of Desistance: Rehabilitation, Reintegration and Ethnic Minorities, A.Calverley Abingdon: Rutledge (2013 year) 230pp

Ethnicity and Equality: France in the Balance, Azouz Begag, Translated and with an introduction by Alec G. Hargreaves. (2007 year) pp. 91-114.

Hurst Hannum, Autonomy, Sovereignty and Self-Determination. The Accommodation of

Conflicting Rights. University of Pennsylvania Press 1996

Jennifer Jackson Preece. Minority Rights. Polity 2005

Mark Weller, Barbara Matzger – editors. Settling Self-Determination Disputes – Complex Power Sharing in Theory and Practice. Martinus Nijhoff Publishers 2008

Mark Weller. Escaping the Self-Determination Trap. Martinus Nijhoff Publishers 2008

Tove H. Malloy. National Minority Rights in Europe. Oxford University Press 2009

Jean-Marie Woehrling. The European Charter for Regional or Minority Languages. A Critical Commentary. Council of Europe Publishing 2005

Mechanisms for the Implementation of Minority Rights – Minority Issues Handbook. Council of Europe Publishing 2004

Minority Issues Mainstreaming in the South Caucasus. A Practical Guide. European Centre for Minority Issues 2011

The State of the World's Minorities and Indigenous Peoples 2015. Events of 2014. Minority Rights Group Publications